საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№323/2

2020 წელი, 17 იანვარი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 192-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა (წამყვანი კომიტეტი), აგრარულ საკითხთა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, საფინანსო-საბიუჯეტო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებს განიხილონ საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილი „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის" ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ" ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმება (N07-2/435, 13.01.2020) და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — არჩილ თალაკვაძე